პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 184 (5734)
16
1976 წ.
სექტემბერი,
ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

მეგობრებთან ერთად...

— ტელევიზიისა და დოკუმენტური კინოს საშუალებით ხშირად გვინახავს და მოხიბლული დავრჩენილვართ ქართველ სპორტსმენთა ვაჟკაცობით, ვირტუოზულობით, რაინდული შემართებით. „დინამოს" სტადიონის მშენებელთა დასახმარებლად სწორედ ქართველი სპორტსმენებისა და ქართული სპორტის სიყვარულმა მოგვიყვანა, — გვითხრეს დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ი. იარახმედოვმა, ფ. ბაირამოვმა, შ. საროევმა, კ. ყურბანოვმა, ა. ქერიმოვმა და ა. მირზახანოვმა, რომლებიც თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები არიან. ამ ინსტიტუტის სტუდენტებმა გასულ შაბათს სტადიონზე მონდომებით იმუშავეს, რისთვისაც მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსის ლ. ჯიბლაშვილის ქება დაიმსახურეს. ქართველ სტუდენტებთან ერთად გულმოდგინედ შრომობდნენ მათი დაღესტნელი მეგობრებიც.

იმ დღეს სტადიონზე მოვიდნენ ორჯონიკიძის რაიონის მარელისის გრეხილი ავეჯის მუშა-მოსამსახურეები და მცხეთის რაიონის სოფელ დიღომის რვაწლიანი სკოლის პიონერებიც. კარგად იმუშავეს თბილისის 23-ე და 24-ე საშუალო სკოლების, განათლების სამინისტროს გლდანის № 1 სპორტული სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებმა, თბილისის № 1 სტამბის მუშებმა, ქ. ორჯონიკიძის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და სპორტსმენთა კოლექტივმა, უნივერსიტეტის სტუდენტებმა, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის აპარატის მუშაკთა და აქტივისტთა ჯგუფმა.

ი. იუნაევი.

• • •

სურათებზე: შრომობენ დაღესტნელი სტუდენტები; თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები ასუფთავებენ სტადიონის ტრიბუნებს; მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა ჯგუფი მუშაობის დროს.

ავტორის ფოტოები.





გუშინ...

თბილისის „დინამოს" საჩოგბურთო სტადიონზე დაიწყო სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალური შეხვედრები (გუნდური). საქართველოს ქალთა ნაკრებმა დაამარცხა ესტონეთის გუნდი — 3:2, მოსკოველებმა სძლიეს აზერბაიჯანელებს — 4:1, ბელორუსიისა და უკრაინის გუნდების ანგარიშია 3:2 უკრაინელების სასარგებლოდ. ლატვიელთა კოლექტივმა დაამარცხა ლენინგრადის ნაკრები — 4:1; ვაჟთა გუნდების პაექრობა ასე წარიმართა: საქართველო — უკრაინა — 3:0 (მატჩი არ დამთავრებულა), მოსკოვი — ტაჯიკეთი — 4:1.

ჩვენი მზიანი რესპუბლიკები

უდაბნოს წყალი ეწვია...

თურქმენეთის დედაქალაქის შემოგარენში, ყარაყუმის არხზე დოსაafის რესპუბლიკური სპორტულ-ტექნიკური კლუბის წყალსამოტორო სპორტის ბაზის მშენებლობა დაიწყო.

უკვე შენდება სადგომები სხვადასხვა კლასის მოტორიანი ნავებისთვის, სახელოსნოები, აწყობენ სარბიელს გემსამოდელო სპორტის ოსტატებისთვის, გაჰყავთ ტრასები აკვალანგისტებისთვის.

კლუბის ახალ სამსართულიან შენობაში იმუშავებს თანამედროვე ხელსაწყოებით აღჭურვილი სასწავლო-საწვრთნელი კლასები.

ათი წლის წინათ ქვიშიან უდაბნოში ამუ-დარიას წყალი გადმოაგდეს არხით. ახლა აქ დიდი წყალსაცავი აქვთ და თურქმენეთისთვის ახალი წყალსამოტორო სახეობების განვითარებაც დაიწყო. ასობით აშხაბადელი ჭაბუკი და ქალიშვილი რეგულარულად მეცადინეობს გემსამოდელო სპორტში, წყალქვეშ ორიენტირებაში, საზღვაო მრავალჭიდში, მოტორიანი ნავებით რბოლაში. ამ წლებში დოსაafის ბევრი აღზრდილი სპორტის ოსტატი გახდა.

ვ. კრაშენინიკოვი.
(საკდესის" კორ.).

აშხაბადი.

სახლმმართველობის „ფიზკულტურული ბიოგრაფია"

ქალაქ დუშანბეს ფრუნზეს რაიონის № 3 სახლმმართველობის გუნდმა მოიგო რესპუბლიკური ტურნირი და ახლა „ტყავის ბურთის" პრიზზე საკავშირო ასპარეზობის ფინალში ითამაშებს. გამარჯვება იოლი არ იყო: ამ საგზურისთვის ათასზე მეტი ბავშვთა გუნდი იბრძოდა.

ეს ერთადერთი წარმატება როდია ეხოს კოლექტივისა. ტაჯიკეთის დედაქალაქის სახლმმართველობათა სპარტაკიადაში ფრუნზეს რაიონის № 3 სახლმმართველობის ბავშვებმა ყველას აჯობეს ჩოგბურთსა და ჭადრაკშიც. აქ სპორტულ სექციებში გაერთიანებულია 2500-მდე ფეხბურთელი, ფრენბურთელი, კალათბურთელი, მძლეოსანი...

სახლმმართველობის „ფიზკულტურული ბიოგრაფია" სამი წლის წინათ დაიწყო, როცა ერთ-ერთ სხდომაზე ბავშვთა დასვენების ორგანიზაციის საკითხზე მსჯელობდნენ.

...თავად ბავშვებმა, მათმა მშობლებმა და სპორტის ენთუზიასტებმა მოაწყვეს ორი საფეხბურთო მინდორი, სამი ფრენბურთისა და ერთი კალათბურთის მოედანი, კორტები...

რესპუბლიკურმა სპორტკომიტეტმა დუშანბეს ფრუნზეს რაიონის № 3 სახლმმართველობის გამოცდილება სამაგალითოდ დაუსახა ტაჯიკეთის ყველა ქალაქსა და რაიონს.

ლ. ჩიბრინი.
(საკდესის კორ.).

ახალი ამბები 76

● ბრნო, 15 სექტემბერი. აქ გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში მონრეალის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედლის მფლობელმა ჩეხოსლოვაკიელმა სპორტსმენმა ქალმა ხელენა ფიბინგეროვამ ბირთვი 21,37 მეტრზე ჰკრა.

● ჰამი, 15 სექტემბერი. გფრ-ის ამ ქალაქში გაიმართა მძლეოსანთა შეჯიბრება, რომელშიც ოლიმპიურმა ჩემპიონმა 100 მეტრზე რბენაში ანეგრეტ რიხტერმა (გფრ) 100 მეტრის გარბენას 11,2 წამი მოანდომა.

● პრაღა, 15 სექტემბერი. ადგილობრივ იპოდრომზე ჩატარდა სოციალისტური ქვეყნების ცხენოსანთა ასპარეზობა. დიდ წარმატებას მიაღწია საბჭოთა სპორტსმენმა ა. ჩუგუევმა, რომელმაც მოიგო მთავარი პრიზი. საბჭოთა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს გუნდურ ჩათვლაშიც.

● პრაღა, 15 სექტემბერი. აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში გამოდის მონრეალის ოლიმპიადის ჩემპიონი — სსრ კავშირის ხელბურთელთა ნაკრები გუნდი. საბჭოთა სპორტსმენები შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენებს და გაიმარჯვეს ანგარიშით 24:22. ბულგარეთისა და პოლონეთის გუნდების მატჩში გაიმარჯვეს პირველებმა — 26:21.

● ტაშკენტი, 15 სექტემბერი. უზბეკეთის დედაქალაქში დამთავრდა ამ რესპუბლიკის დამკვრელური კომკავშირული მშენებლობების სპორტსმენთა ტრადიციული სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო სპორტის ცხრა ყველაზე პოპულარული სახეობა. შეჯიბრების ფინალში გამოდიოდა 495 მძლეოსანი, მოჭიდავე, ძალოსანი, ჩოგბურთელი, ფეხბურთელი, კალათბურთელი, ფრენბურთელი, მოჭადრაკე, მოშაშე და მშდ კომპლექსის მრავალჭიდელი. საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს კარშინის ველის ამთვისებლებმა.

ინგლისის ახალი ჩემპიონი

ინგლისის წლევანდელი ჩემპიონის ტიტული მოიპოვა საერთაშორისო ოსტატმა, 19 წლის ჯ. მესტელმა. პირველობაში, რომელიც ქ. პორტსმუტში გაიმართა, 12 მოჭადრაკე მონაწილეობდა. ახალმა ჩემპიონმა 9,5 ქულა მოაგროვა და მაყურებელთა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ცვლილება შემადგენლობაში

„ლელოს" 8 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული იყო სსრ კავშირის ქალთა XXXVI ჩემპიონატის ფინალის მონაწილეთა შემადგენლობა. საერთაშორისო ოსტატმა ვ. კოზლოვსკაიამ (პიატიგორსკი) უარი თქვა ჩემპიონატში მონაწილეობაზე. ჭადრაკის საკავშირო ფედერაციამ მის მაგიერ შეჯიბრების მე-18 მონაწილედ მიიწვია ოსტატობის კანდიდატი, 19 წლის ტ. ჟიგალოვა (ალმა-ათა). ამ მოჭადრაკემ ტოლიატის ნახევარფინალში V-VII ადგილები გაიყო ვ. კოზლოვსკაიასთან

ორბიტაზეა კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-22"

გუშინ, 15 სექტემბერს მოსკოვის დროით 12 საათსა და 48 წუთზე საბჭოთა კავშირში გაუშვეს კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-22", რომლის ეკიპაჟში არიან ხომალდის მეთაური, საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის მფრინავი-კოსმონავტი ვალერი თევდორეს-ძე ბიკოვსკი და ბორტ-ინჟინერი ვლადიმერ ვიქტორის-ძე აქსიონოვი.

ფეხბურთი

პირველი მატჩები

შედგა ევროპის საკლუბო ტურნირების პირველი მატჩები ფეხბურთში.

ჩემპიონთა თასი. „კიოგე" (დანია) — „ბაიერნი" (გფრ) 0:5 (0:4), „ლივერპული" (ინგლისი) — „კრუზეიდერსი" (ჩრდილოეთ ირლანდია) 2:0 (1:0), „შლიემა უონდერერსი" (მალტა) — „ტურუნი" (ფინეთი) 2:1 (0:0).

თასების მფლობელთა თასი. მტკ (უნგრეთი) — „სპარტა" (ჩეხოსლოვაკია) 3:1 (1:1), „ლიერსი" (ბელგია) — „ჰაიდუკი" (იუგოსლავია) 1:0 (1:0).

უეფა-ს თასი. „ფამაგუსტა" (კვიპროსი) — „კაიზერსლაუტერნი" (გფრ) 1:3 (0:1), „გლენტორანი" (ჩრდილოეთ ირლანდია) — „ბაზელი" (შვეიცარია) 3:2 (2:1), „ფრამი" (ისლანდია) — „სლოვანი" (ჩეხოსლოვაკია) 0:3 (0:2).

მოკლედ

ფიფა-ს სამდივნომ ოფიციალური ცნობა მიიღო იმის თაობაზე, რომ პარაგვაის ნაკრებს მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოამზადებს რ. როდრიგესი, ურუგვაის ეროვნული ნაკრების ყოფილი მოთამაშე.

ბრიუსელი. ბელგიისა და საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრები გუნდების (21 წლამდე) ამხანაგური მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. საფრანგეთის ეროვნული გუნდის სელექციონერმა მ. იდალგომ განაცხადა, რომ იუნიორთა შორის მან შეარჩია რამდენიმე პერსპექტიული ფეხბურთელი.

პირველი შედეგები

სოხუმში, მედიცინის მუშაკთა სახლში დაიწყო „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ქალთა ჩემპიონატი. შეჯიბრებაში მონაწილეობენ (წილისყრის მიხედვით): ოსტატი რ. ნევედნიჩაია (კიშინიოვი), ოსტატობის კანდიდატი ვ. ბარანოვა (მოსკოვი), ნ. მელაშვილი (თბილისი), ოსტატობის კანდიდატი ლ. გოლდმანი (ტაშკენტი), ოსტატი ნ. ტიტორენკო (მოსკოვი), ოსტატი ც. კობაიძე (თბილისი), ლ. კოზლოვა (მოსკოვი), ოსტატობის კანდიდატი ქ. მელაშვილი (თბილისი), პ. კაგანოვსკაია (კიევი), ლ. ნაგელი (სოხუმი), ვ. არტამონოვა (კიევი), ოსტატობის კანდიდატი მ. წერეთელი (თბილისი).

3 ტურის შემდეგ ლიდერობენ: ტიტორენკო — 3 ქულა, ნ. მელაშვილი — 2,5, კობაიძე, ქ. მელაშვილი, ნევედნიჩაია, ბარანოვა — 2-2.

გთავაზობთ თბილისელი მოჭადრაკეების შედეგებს: I ტური. ნ. მელაშვილმა სძლია ნაგელს, კობაიძემ — კოზლოვას. მაგრამ დამარცხდნენ წერეთელი ნევედნიჩაიასთან, ქ. მელაშვილი — ტიტორენკოსთან. II ტური. გაიმარჯვეს დებმა მელაშვილებმა: ნინომ მოუგო არტამონოვას, ქეთევანმა — კობაიძეს. წერეთელმა სძლია კოზლოვას. III ტური. კვლავ გაიმარჯვა ქ. მელაშვილმა, ამჯერად კოზლოვასთან. მოიგო კობაიძემაც კაგანოვსკაიასთან. წერეთელი დაუზავდა ბარანოვას, ნ. მელაშვილი — ნევედნიჩაიას.

პირველობა 26 სექტემბრამდე გასტანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამი — საუკუნის მშენებლობა

ნია-გრუზინსკაიაში სპორტიც უყვართ



ნია-გრუზინსკაიაში ჩვეულებრივი სამუშაო დღე ისე იწყება, არც ზარის წკრიალი გაისმის და არც ტაბელს აბრუნებს ვინმე. მხოლოდ შუადღისას ჩამოივლის გოგონა და აღნუსხავს ყოველივეს. დათქმულ დროზე ნახევარი საათით ადრე მშენებელთა დაბა უკვე ცარიელდება და ყველა უბანი, ყველა ბრიგადა თითქმის ერთდროულად ახმიანდება.

ქართველი გლეხკაცი თოხნას ხომ მანამ არ შეწყვეტს, სანამ სვეს ბოლოში არ გაიტანს. ასევე ნიელებიც, სანამ იმ დღის საქმეს თავს არ დაადგამენ, სამუშაოდან ფეხს არ მოიცვლიან.

ამიტომ თითოეული ბრიგადა მუშაობას სხვადასხვა დროს წყვეტს და სამუშაო მოედანზე გამართულ სახელდახელო — საველე აბანოსთან რიგი არასდროს დგება...

იმ დღეს კი ყველა ბრიგადამ და უბანმა თითქმის ერთდროულად შეწყვიტა მუშაობა.

ახალგაზრდები ერთ ადგილას შეკრებილიყვნენ და კამათი ჰქონდათ, რომლის თემა მხოლოდ ის იყო, რომ ნია-გრუზინსკაიას „ულკანის“ მშენებელთა გუნდი ეწვია და ექვს საათზე ფრენბურთში შეხვედრა იყო დანიშნული. ზოგი იოლ გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა, ზოგი საეჭვოდ აქნევდა თავს, თითო-ოროლა კი აშკარად შიშობდა.

კამათი საკმაოდ ცხარე იყო და აშკარა ყვირილშიც გადაიზრდებოდა ხოლმე.

— რამ გააგიჟა ეს ხალხი? დღევანდელ თამაშს ხომ პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, ამხანაგური შეხვედრაა და მეტი არაფერი... წაიღეს ყურები, — გაიფიქრა ჯგუფის ბოლოს მდგომმა, ახალგაზრდული კომპლექსური ბრიგადის წევრმა სერგო ლილუაშვილმა და ბრიგადირ ავთანდილ ლომიძეს ისეთნაირად გადახედა, თითქოს უთხრა: შენ მაინც გამაგებინე, რა ხდებაო.

ავთანდილმა დინჯად განმარტა:

— დღევანდელი თამაში, მართალია, ამხანაგურია, მაგრამ უაღრესად პრინციპული იქნება. მალე ფრენბურთში დასავლეთ ბამის მშენებელთა შორის ოფიციალური შეჯიბრებები დაიწყება. ახლა „ულკანელები“ თავის ძალებს ცდიან, და ბუნებრივია, ჩვენც გვზვერავენ.

— ძველი ხერხია, — დინჯად ჩაილაპარაკა ნუგზარ ქობალიამ. — ჩვენებმაც კარგად იციან თავისი საქმე: დღეს იმის ნახევარსაც არ გააკეთებენ, რაც შეუძლიათ.

— და მაინც უსათუოდ უნდა მოვიგოთ, მორალურად უნდა გავტეხოთ მეტოქე.

— რასაკვირველია, „ულკანელებს“ საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავთ. ფსიქოლოგიურ ფაქტორსაც ხომ გარკვეული მნიშვნელობა აქვს.

— გამოდის, დღევანდელი თამაში ძალზე საინტერესო უნდა იყოს...

მალე ყველა ნიელი სპორტულ დარბაზში შეიკრიბა. თამაში ზუსტად დანიშნულ დროს დაიწყო. იგი მართლაც პრინციპული და სანახაობრივად მიმზიდველი გამოდგა. შორს გაისმოდა გულშემატკივართა შეძახილები საუკუნეობით მდუმარე ტაიგაში...

— შესანიშნავი სპორტდარბაზია ნია-გრუზინსკაიაში. ჩვენისთანა სპორტდარბაზი მთელს ბამზე არავის აქვსო, — სიამაყით ამბობენ ნიელები.

ბამს კი მთელი საბჭოთა კავშირი აშენებს. უამრავ სამშენებლო ორგანიზაციას გაუშლია შემოქმედებითი შრომა 3145 კილომეტრზე. 45 ათასზე მეტი კაცი მუშაობს უაღრესად რთულ კლიმატურ პირობებში, მუდმივი გაყინვარების ზონაში. გაჰყავთ რკინიგზის ხაზი, აგებენ უზარმაზარ ხიდებს და ურთულეს გვირაბებს... მომავალი რკინიგზის გასწვრივ უკვე შენდება ორასზე მეტი დიდი თუ მცირე სადგური და საცხოვრებელი ობიექტი.

საუკუნის ამ დიად მშენებლობაზე ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებიც შრომობენ. ქართველთა 250-კაციანი კოლექტივი დაბასა და რკინიგზის სადგურს აშენებს მდინარე ნიას ნაპირზე. ნია-გრუზინსკაია უწოდეს ამ დასახლებას არცთუ დიდი ხნის წინათ.

ქართველ მშენებელთა წარმატებებზე ბევრჯერ თქმულა როგორც იქ, აღმოსავლეთ ციმბირის ბეჭდვითს ორგანოებში, რადიოთი და ტელევიზიით, ისე აქაც, რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში...

— ნუთუ ამ გრანდიოზულ მშენებლობაზე ნიელთა სპორტდარბაზი ყველაზე უკეთესია? — ბუნებრივად გებადება კითხვა. გარეგნულად ასეთი შენობა ბამზე უამრავია. იგი ძალზე ჰგავს ტიპურ ფინურ საწყობს. სხვა ობიექტებზე ასეთ შენობებს მართლაც საწყობებად ან გარაჟებად იყენებენ, ნია-გრუზინსკაიაში კი...

როცა „საქბამმშენის“ უფროსმა ანზორ დვალიშვილმა ასაწყობი კონსტრუქციები მიიღო, ახალგაზრდებს განუცხადა:

— მოგეხსენებათ, ჩვენ საწყობის შენობა გვაქვს და კარგადაც ვიყენებთ მას. გადავწყვიტეთ ეს კონსტრუქციები თქვენ გადმოგცეთ, ააწყვეთ და სპორტდარბაზი გამართეთ.

აღფრთოვანებულმა ბიჭებმა თითო ბრიგადიდან თითო კაცი გამოყვეს, ხოლო ბრიგადებში დარჩენილებმა მათს მაგივრად მუშაობა იკისრეს. ასე ჩამოყალიბდა ახალი ბრიგადა საზოგადოებრივ საწყისებზე სპორტდარბაზის ასაგებად.

თქმა და საქმის დაწყება ერთი იყო. ჯერ პროექტი შეიმუშავეს, მერე კი შენებას შეუდგნენ. ვეფხვებივით ტრიალებდნენ ახალგამომცხვარი ბრიგადის წევრები — გოგი კიკვიძე, მიშა ნიკოლაიშვილი, ამირან ქველიძე, იური ილურიძე და ნოდარ გუგულაშვილი. მშენებლობა შარშან ნოემბერში დაიწყეს და კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი საახალწლოდ უკვე მზად იყო.

ამის შემდეგ სპორტი ნიელთა ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. აი, როგორია მათი ჩვეულებრივი დღე: დილით ადრე სამუშაოზე მიეშურებიან და მთელ დღეს დაძაბულ შრომაში ატარებენ. საღამოს ექვს საათზე ყველანი სპორტდარბაზში იკრიბებიან და რვა საათამდე თამაშობენ. თამაშობენ კალათბურთსა და ფრენბურთს, მინი-ფეხბურთსა და ჩოგბურთს, იმართება სხვადასხვა სახის ჭიდაობა, ეჯიბრებიან ერთმანეთს სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომაში, დაბრკოლებების გადალახვაში... თამაშობს ყველა — დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი... ყველაზე მეტ ინტერესს მაინც ცოლიანებისა და უცოლოების შეჯიბრება იწვევს. ცოლიანები — ეს ნიაზე უმთავრესად ინჟინერ-ტექნიკური პერსონალია, უკვე ცხოვრებაში გამოჯეკილი, ორმოც წელს მიღწეული ხალხი. უცოლოები — კომკავშირული საგზურებით მოსული 20-25 წლის ბიჭები — საქართველოს სახელოვანი მუშათა კლასის წარმომადგენლები არიან. დაუსრულებლად გრძელდება მათი დავა. ხან ცოლიანები იმარჯვებენ, ხანაც უცოლოები.

ცოლიანებში ბევრია წარსულში სახელოვანი სპორტსმენი. ანზორ დვალიშვილი, მაგალითად, ყოფილი ათჭიდელია; მთავარი ინჟინერი ალექსანდრე ულუხანოვი პირველთანრიგოსანი კალათბურთელი იყო, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სახელოვან კოლექტივში თამაშობდა; ნუგზარ მგელაძე პირველთანრიგოსანი მძლეოსანი გახლდათ... ხანდაზმულთა გამოცდილება და ახალგაზრდული ენერგია ხშირად ტოლფარდი ხდება.

არც დღისით არის მოსვენებული სპორტდარბაზი. ნია-გრუზინსკაიაში მშვენიერი რვაწლიანი სკოლა აქვთ, ფიზკულტურის გაკვეთილები და სპორტული წრეების მეცადინეობები სწორედ აქ, ამ დარბაზში ეწყობა.

— შრომაში ჩვენი წარმატებები იმანაც განაპირობა, რომ სპორტი ნიაზე — მართლაც მასობრივია, — ამაყად ამბობს ანზორ დვალიშვილი.

— კონკრეტულად მაინც რაში ჩანს სპორტის ესოდენ დიდი როლი?

— მთელი დღის დაძაბული შრომის შემდეგ სპორტული თამაშები ბიჭებს ხალისსა და სიმხნევეს მატებს. მერწმუნეთ, ეს ლიტონი სიტყვები არ არის. გარდა ამისა, ახლა უკვე ყველასთვის ცნობილია, თუ რა შედუღაბებულია ჩვენი კოლექტივი. ასე მგონია, წლების განმავლობაში ერთად ვცხოვრობდით და ერთმანეთის ჭირ-ვარამს ვიზიარებდით. ეს მაშინ, როცა ჩვენს კოლექტივს საფუძველი სულ რაღაც წელიწად-ნახევარია ჩაეყარა. ბიჭების ურთიერთდაახლოებაში, მათს ერთ მტკიცე კოლექტივად შეკვრაში, რაღა თქმა უნდა, თავისი სიტყვა სპორტმაც თქვა.

— მაგრამ ხომ არიან ისეთებიც, რომლებიც სპორტს არ მისდევენ?

— მეტნაკლებად ყველა მისდევს! — კატეგორიულად აცხადებს ანზორი.

— ბატონი ვლადიმერიც? — თითქოს ნიშნს ვუგებდეო, ისეთი ტონით ვეკითხები ანზორს და ღიმილით შევცქერი ჩვენსკენ მომავალ „საქბამმშენის“ მთავარ ბუღალტერს.

ვლადიმერ კვირიკაძე ყველაზე უხნესი კაცია ნიაზე და შეიძლება მთელ ბამზეც. ახლახან მას 68 წელი შეუსრულდა. დინჯად მოაბიჯებს, სიარულშიც ეტყობა წლების სიმძიმე, მაგრამ მაინც მხნე და ხალისიანია.

— ბატონი ვლადიმერი ნია-გრუზინსკაიას ოფიციალური ჩემპიონია სპორტის ერთ-ერთ სახეობაში, — ღიმილით ამბობს ინჟინერი იური გიორგაძე. ანზორი მას კვერს უკრავს.

გაოცებული შევყურებ ხან ერთს და ხან მეორეს.

ბოლოს ისევ ანზორ დვალიშვილი მიხსნის საიდუმლოს:

— ბატონი ვლადიმერი და ჩვენი ფარმაცევტი თამაზ გუგუნავა დაუსრულებლად დაობდნენ, მთელს ნიაზე არა მე ვჯობივარ ყველას ნარდის თამაშში და არა მეო. საშველი რომ აღარ დაადგა ამ დავის დამთავრებას, გადავწყვიტეთ ოფიციალური შეჯიბრება მოგვეწყო და გამარჯვებული ექვსი თვით ბამის ჩემპიონად გამოგვეცხადებინა. შეჯიბრება სპორტდარბაზში გაიმართა. მთელმა ნიამ მოიყარა თავი. შუა დარბაზში მაგიდა და ორი სკამი დავდგით. მე, როგორც მთავარმა მსაჯმა, სასტვენს ჩავბერე და ნარდიც ამღერდა. დაცული იყო ყოველგვარი ოფიციალური წესები. სამი ხელი ითამაშეს მეტოქეებმა და ორჯერ გამარჯვება ბატონ ვლადიმერს დარჩა. მაშინვე გამოვაცხადეთ იგი ნია-გრუზინსკაიას ჩემპიონად.

შარშან დასავლეთ ბამის ზამთრის ოლიმპიადაში ნიელმა სპორტსმენებმა ღირსეულად იასპარეზეს: მეორე ადგილი დაიკავეს ჭიდაობაში, მესამე — კალათბურთში. მესამენი იყვნენ საერთო გუნდურ შეჯიბრებაშიც.

კიდევ უფრო სასახელო შედეგები მოიპოვეს ნიელებმა წლეულს, ზაფხულში. მექანიზატორთა ბრიგადირი ვანო ჯაშიაშვილი დასავლეთ ბამის ჩემპიონი გახდა თავისუფალ ჭიდაობაში. დასავლეთ ბამის ჩემპიონია ანა ფალავაც მშდ კომპლექსის მრავალჭიდში. მანვე მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა ბამის ჩემპიონატში და ნაკრების წევრიც გახდა. დასავლეთ ბამის ჩემპიონია კროსში ნოდარ გუგულაშვილი, მშდ კომპლექსის მრავალჭიდში მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა ამირან ქველიძემ...

უფროსებს ჰბაძავენ და დიდ სპორტულ სარბიელზე ოცნებობენ პატარებიც. ისინი წარსულში სახელოვანი სპორტსმენის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, ნია-გრუზინსკაიას რვაწლიანი სკოლის დირექტორის ნადეჟდა დვალიშვილის საერთო ხელმძღვანელობით გულმოდგინედ მეცადინეობენ სპორტის სხვადასხვა სახეობაში და ეჭვი არ არის, რომ ღირსეულად განაგრძობენ უფროსთა შესანიშნავ ტრადიციას.

გ. აბდალაძე.

ნია-გრუზინსკაია.

* * *

სურათებზე: ზევით (მარცხნიდან) — სპორტდარბაზში; ზურაბ ჯინჭარაძე — დასავლეთ ბამის ჩემპიონი მშდ კომპლექსის მრავალჭიდში უფროს ასაკობრივ ჯგუფში; ვახტანგ რუხაია; ქვევით — ამირან ქველიძე.

რ. ჩიქოვანის ფოტოები.

ერთი ქულით ჩამორჩა

კარგ ტრადიციად დამკვიდრდა მძლეოსნობაში ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების აღსაზრდელთა საკავშირო ტურნირების გამართვა. ფინალური ასპარეზობისთვის უძლიერესი კოლექტივების გამოსავლენად ყოველწლიურად ცალ-ცალკე ეწყობა „დინამოს“, განათლების სამინისტროს, „შრომითი რეზერვებისა“ და პროფკავშირული ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების სპორტული სკოლების მოსწავლეთა შეჯიბრებები.

ერთი ამგვარი ასპარეზობა ამას წინათ პიატიგორსკში გაიმართა. გამარჯვებისთვის იბრძოდა პროფკავშირული სპორტსაზოგადოებების 25 კოლექტივი. მოსკოვიდან (3), ლენინგრადიდან (2), უკრაინიდან (5), რსფსრ-დან (4), ლიტვიდან, ლატვიიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, მოლდავეთიდან და სხვა მოძმე რესპუბლიკებიდან.

საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტული სკოლის ნაკრები I ჯგუფის კოლექტივებს შორის გამოდიოდა. აქ მის გარდა საკავშირო შეჯიბრების ფინალის საგზურისთვის ასპარეზობდა კიდევ 6 გუნდი — მოსკოვის „სპარტაკი“ და „ტრუდი“, ლენინგრადის „ზენიტი“, დონეცკის „ავანგარდი“, ზაპოროჟიეს „ავანგარდი“ და რიგის „დაუგავა“.

ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა საერთო ჩათვლაში 118 ქულა მოაგროვეს, II ადგილი დაიკავეს და საკავშირო პირველობის (შეჯიბრება 18-19 სექტემბერს ვოროშილოვგრადში ჩატარდება) საგზური მიიღეს. საქართველოს პროფსაბჭოს სკოლის მძლეოსნებს მხოლოდ ერთი ქულით აჯობა მოსკოვის „სპარტაკის“ სკოლის ნაკრებმა. III ადგილზეა დონეცკის „ავანგარდი“ — 99 ქულა. პიატიგორსკის ზონიდან ვოროშილოვგრადში გამოვლენ, აგრეთვე, მოსკოვის „ტრუდი“ და ზაპოროჟიეს „ავანგარდი“.

საქართველოს მძლეოსნებიდან პირად ტურნირში თავი განსაკუთრებით ისახელეს მ. ლაზარიშვილმა, რომელმაც ყველას აჯობა 1959-61 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის ბადროს ტყორცნაში (42,74 მ) და ს. გუმბამ (მწვრთნელი ი. გიგაური). ამ უკანასკნელმა შუბის ტყორცნაში გოგონათა რესპუბლიკური რეკორდი (49 მ) დაამყარა და ჩემპიონიც გახდა.

თბილისელმა ე. გოლოვკოვამ პირველად შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი. იგი 168 სანტიმეტრ სიმაღლეზე გადახტა და VI ადგილი დაიკავა. ყველას აჯობა მ. ივანოვამ (მოსკოვის „სპარტაკი“). მან, ისევე როგორც ნ. ტარასოვამ (მოსკოვის „ტრუდი“), 174 სანტიმეტრი დაძლია, მაგრამ მეტოქეს ნაკლები ცდის წყალობით აჯობა...

საქართველოს პროფსაბჭოს სპორტსკოლის გუნდის ჭაბუკებიდან (1958-60 წლებში დაბადებულნი) პირველი ადგილები დაიკავეს: 110 მეტრზე თარჯრბენში — ლ. ფარცვანიამ — 15,0, უროს ტყორცნაში — ვ. დელიბაშვილმა — 56,76, შუბის ტყორცნაში — ც. ბურკიშვილმა — 65,24.

ათჭიდელებმა ზ. ზურაბიშვილმა (6873 ქულა) და ვ. ბერიშვილმა (6726) II და III ადგილები მოიპოვეს. მათ მხოლოდ კ. სკვოროდინმა (მოსკოვის „ტრუდი“) აჯობა — 7005 ქულა.

ასევე II და III ადგილები დაიკავეს სიმაღლეზე მხტომელებმა გ. საგრენკომ (202 სმ) და თ. ლახმინმა (199). ჩემპიონი გახდა ზაპოროჟიელი ვ. იაშჩენკო, რომელმაც 215 სმ დაძლია.

სამხტომში პირველობა მოიგო ა. კალიტჩენკომ (ზაპოროჟიე) — 15,41. ა. სხირტლაძის შედეგია 14,76 მ, რამაც სპორტსმენს III ადგილი მოუტანა.

საქართველოს გუნდის წევრებიდან IV ადგილები ხვდათ: 100 მეტრზე რბენაში — გ. დინგაშვილს — 11,1 (გამარჯვებულის, რიგელი ს. რეპუშენკოს შედეგია 10,8), 200 მეტრზე — ს. კრასნოკუტსკის — 22,7 (ლენინგრადელმა ვ. კირიკოვმა ამ დისტანციის გარბენას 22,2 წამი მოანდომა), ბადროს ტყორცნაში — ა. მჭედლიძეს — 46,34 მ (გაიმარჯვა ზაპოროჟიელმა ვ. ზინჩენკომ — 51,90), უროს ტყორცნაში — რ. ბედუკაძემ — 50,56. გ. მელიქიძე მას 60 სანტიმეტრით ჩამორჩა და V ადგილზე გავიდა. V ადგილზეა ვ. დროზდოვიც, ოღონდ ჭოკით ხტომაში — 420 სმ (ჩემპიონია მოსკოვის „სპარტაკელი“ ა. პარნოვი — 4,80).

ო. ივდოშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1976, მონრეალი, XXI ოლიმპიადა

2. დიდი ტედი — ბედის ნებიერი

ამბობენ, რამდენი ადამიანიცაა, იმდენი ხასიათი არსებობსო. ეს თუ ასეა, ოლიმპიური თამაშები ამ ხასიათების გამოცდა უნდა იყოს, მკაცრი და მიუდგომელი სამსჯავრო, სადაც ყველაფერი ხელისგულივით ჩანს. მაგრამ ოლიმპიადაში, ამავე დროს, ყოველ მოვლენას, რაგინდ უმნიშვნელოც უნდა იყოს, თავისი ადგილი და როლი აქვს განკუთვნილი. ეს არის მისი ლოგიკა, მისი კანონზომიერება და, თუ გნებავთ, ღირსება.

ოლიმპიადას არ უყვარს ავტორიტეტები, ესეც მისი ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა. ოლიმპიადა თვითონ ქმნის ავტორიტეტებს, ოღონდ მას შემდეგ, რაც ყოველ მათგანს საკუთარ პრიზმაში გაატარებს.

საბჭოთა ნაკრებს კლასიკურ ჭიდაობაში ოლიმპიადამდე გარკვეული როლი და ადგილი ჰქონდა განკუთვნილი მოვლენათა გრძელ ჯაჭვში. ოლიმპიადამ ამ გუნდს მანამდე გაუგონარი სახელი და ავტორიტეტი შეუქმნა. ეს, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა გუნდის წევრთა ღირსებების აღიარება იყო. მაგრამ „კლასიკოსთა“ ბრწყინვალე მაგალითი მძიმე მემკვიდრეობად მიიღეს იმათ, ვისაც მათს შემდეგ უნდა დაეკავებინა ადგილი ოლიმპიურ სარბიელზე.

თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს დიდი თავსატეხი გაუჩნდათ. „კლასიკოსთა“ შედეგს ისინი, რა თქმა უნდა, ვერ გადააჭარბებდნენ — ეს გამორიცხული იყო. ესე იგი, შთაბეჭდილებასაც ისეთს ვერ დატოვებდნენ. დარჩა ერთადერთი გამოსავალი — საბჭოთა სპორტსმენების საერთო წარმატებებში თავიანთი წვლილიც შეეტანათ და ყოველი შემთხვევისთვის მიუნჰენის ოლიმპიადის შედეგი მაინც გაემეორებინათ.

სათქმელად ესეც ადვილია — მიუნჰენის ოლიმპიადის შედეგების გამეორება, მაგრამ თავისუფალ ჭიდაობაში, ისე როგორც არსად, იგრძნობა კონკურენცია. გუშინდელი ახალბედა დღეს დასრულებული ოსტატია, რომელიც ხალისით ებმება ბრძოლაში და ხშირად გამარჯვებულიც გამოდის. ტალანტებს სითამამე უყვართ. ეს მათი თვისებაა. ამიტომაცაა, რომ ნამდვილი ტალანტი (და არა სპორტის რანტიე) არასდროს არ ცხოვრობს ყოფილი დიდების ტირაჟირებული პროცენტებით. იგი სრულყოფის მომხრეა და შეძლებისდაგვარად იცავს ამ პრინციპს.

აი, ერთი მაგალითი ამერიკელი მოჭიდავეების ცხოვრებიდან: მსოფლიო ჩემპიონატებში, ისინი, როგორც წესი, სუსტად გამოდიან, ოლიმპიადებში კი, პირიქით, მუდამ რაღაც ახალს ამბობენ. სიურპრიზები მათი ტრადიციული ტაქტიკაა ოლიმპიადებში. ამერიკული საშიშროება მონრეალში ერთი ორად გაიზარდა მას შემდეგ, რაც ნაკრების უფროსი მწვრთნელის პოსტი მიუნჰენის ოლიმპიადის ჩემპიონმა დან გეიბლმა ჩაიბარა.

გეიბლი — სპორტსმენი კოლორიტული ფიგურა იყო მსოფლიო ჭიდაობის ისტორიაში. გეიბლი — მწვრთნელი: შეუძლებელია ეს შერწყმაც საინტერესო არ ყოფილიყო. და მართლაც, ახალმა მწვრთნელმა თავისი საქმიანობა დაიწყო იმით, რომ ერთმანეთს შეუთავსა ჭიდაობის ორი კლასიკური საწყისი — ძალა და ტექნიკა.

მასალა კარგი ჰქონდა, გამოცდილება დიდი და ექსპერიმენტმაც მაშინვე გამოიღო ნაყოფი. ამერიკელი მოჭიდავის ტიპისთვის დამახასიათებელი თვისებები გახდა ფიზიკური ძალა, ტექნიკა და აქტიურობა. ამერიკელი მოჭიდავე არ მისტირის დაკარგულ ქულას, ისე როგორც, ვთქვათ, ირანელი. მეტსაც გეტყვით, იგი თითქოს ხალისითაც თმობს მას იმ ანგარიშით, რომ შემდეგ ერთიორად აანაზღაუროს დანაკლისი. ბრძოლის ასეთი მანერა საოცრად ეფექტურია სანახაობრივი თვალსაზრისით. მაგრამ ცხრა წუთს მოზიდული მშვილდივით ყოფნას დიდი ძალა და ენერგია სჭირდება. ეს ამერიკელთა მთავარი კოზირია.

მეორე უპირატესობას — ტექნიკას ისინი ასეთივე მანერით იყენებენ. შეუძლებელია, რომ ცხრა წუთის განმავლობაში მეტოქემ არ დაუშვას თუნდაც ერთი შეცდომა. და თუ ეს მოხდა, უკვე ტექნიკა ამბობს თავის სიტყვას.

ამ აზრის საილუსტრაციოდ ერთ ასეთ დეტალს მოვიყვან: ათმა ამერიკელმა მოჭიდავემ ოლიმპიადის დღეებში მეტოქეს 277 ქულა აართვა (აქ მხედველობაში არ ვიღებ წმინდად მოგებულ შეხვედრებს), ხოლო ჩააბარა, არც მეტი, არც ნაკლები — 200.

ოლიმპიური ტურნირის დამთავრების შემდეგ დან გეიბლი პრეს-კონფერენციაზე იტყვის:

— პირადად მე ბიჭების შედეგით კმაყოფილი ვარ. სხვა მიზანს მე, როგორც მწვრთნელი, არც ვისახავდი. საბჭოთა ნაკრებთან თანაბრად ბრძოლის საშუალება ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს. ასე რომ, მეორე გუნდური ადგილი, რომელიც ამერიკის ნაკრებს ხვდა, ზუსტად ასახავს ძალთა შეფარდებას ამ ოლიმპიადაში.

გეიბლს ჰკითხეს, ვისი გამოყოფა შეიძლება თქვენი მოჭიდავეებიდანო.

იგი არც დაფიქრებულა, ისე დაასახელა ძმები პეტერსონები, მაგრამ ისიც დასძინა, რომ აგერ უკვე მეორე ოლიმპიადაა, ამ წყვილს ბედი არ სწყალობსო.

რატომ არ სწყალობთ ბედი პეტერსონებს? საქმეში ჩაუხედავი კაცი ვერც კი მიხვდება მწვრთნელის სიტყვას. ვერ მიხვდება იმიტომ, რომ მიუნჰენში ჯონ პეტერსონი მეორე პრიზიორი იყო, ბენიამინი კი ჩემპიონი, მონრეალში ძმებმა ადგილები გაცვალეს. ჯონმა ოქროს მედალი მიიღო, ბენიამინმა — ვერცხლისა. განა ეს უიღბლობაა? ორ ოლიმპიადაში ორი ოქროს და ორი ვერცხლის მედალი — რატომ უნდა ემდუროდეს ბედს გეიბლი?

იქნებ იმიტომ, რომ, მწვრთნელის ღრმა რწმენით, პეტერსონები მეტის ღირსნი არიან. მაგრამ აგერ უკვე ოთხ წელზე მეტია ძმებს შორის ჩამდგარია ლევან თედიაშვილი. მიუნჰენში თედიაშვილმა ოქროს მედალი ჯონს წაართვა, მონრეალში — ბენიამინს. არადა, როგორ უნდა აუქციო გვერდი თედიაშვილს? „ეს არის ფენომენი, რომელიც მანამ იბატონებს სარბიელზე, სანამ სული უდგას. ჯონი და ბენიამინი უფრო ბედნიერ ვარსკვლავზე რომ იყვნენ დაბადებულნი, წონა ნაკლები ექნებოდათ“ — ასე ფიქრობს გეიბლი. წლეულს ჯონი თავის ძმაზე უფრო ბედნიერი აღმოჩნდა, ვინაიდან თედიაშვილი გზიდან ჩამოსცილდა (ლევანი მიუნჰენის შემდეგ ზედა წონაში გამოდის), დანარჩენ მეტოქეებს კი ადვილად გაუსწორდა და ბოლოს და ბოლოს მიიღო ის, რისკენაც ასე გულმოდგინედ ილტვოდა წლების მანძილზე.

ბენიამინ პეტერსონს ამ ოლიმპიადაში ბედმა უფრო მძიმე ხვედრი არგუნა, მაგრამ, როცა გასული ბრძოლების დეტალებს ვიხსენებთ, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს კიდევ ერთი გვარი — ჰორსტ შტოტმაისტერი. იგიც, პეტერსონებისა არ იყოს, დიდი ხანია ჯიუტად მიიწევს მიზნისკენ, რომელსაც თედიაშვილი არავის უთმობს. მონრეალში ოლიმპიური ტურნირის მთავარი სიუჟეტური ხაზი სწორედ ამ სამი მოჭიდავის მძაფრი კონკურენციის გზით წარიმართა.

პირველი წრე. თედიაშვილმა წუთ-ნახევარში მოაგვარა საქმეები ვ. თომასთან (ვირჯინიის კუნძულები). წმინდად მოიგო პირველი ბრძოლა შტოტმაისტერმაც. პეტერსონს უფრო „ძნელი“ მეტოქე ჰყავდა — რუმინელი ს. მორკოვი. ფიზიკურად ძლიერ და შეუპოვარ რუმინელს პეტერსონმა შვიდი ქულა აართვა, მაგრამ ოთხის დათმობა მაინც მოუხდა.

სტარტზე საგანგებო არაფერი მომხდარა. ყველა საბჭოთა ათლეტმა მეტნაკლებად წარმატებით დაძლია სადებიუტო სირთულეები. მეორე წრე კი სკანდალური ისტორიით დაიწყო. მსაჯთა კოლეგიამ განიხილა ირანელთა 12 საათის წინანდელი პროტესტი და აშურალიევს დამარცხება ჩაუთვალა. ამ უპრეცედენტო გადაწყვეტილებამ კანადის პრესის სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია, მით უმეტეს, რომ რეალური საბაბი პირველი შედეგის გასაუქმებლად არ ჩანდა. სამწუხაროდ, ორი პროტესტის შეტანა ერთსა და იმავე ბრძოლაზე არ შეიძლება და ჩვენი მწვრთნელებიც იძულებული იყვნენ ბედს შერიგებოდნენ, მაგრამ აშურალიევის მდგომარეობა კარგი გაკვეთილი გამოდგა სხვებისთვის.

მეორე წრე. მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა. ასეა მუდამ ჭიდაობაში. ყოველ ახალ წრეს ახალი გაუთვალისწინებელი კორექტივები შეაქვს. აშურალიევმა ნაწილობრივ გამოასწორა მდგომარეობა — მე-5 წუთზე ბეჭებით გააკრა ხალიჩას იტალიელი ჯ. სპანიოლი. სამაგიეროდ, დამარცხდა გამარჯვების ერთ-ერთი უდავო კანდიდატი ქვემსუბუქ წონაში ვლადიმერ იუმინი. აი, ეს მართლაც სენსაციაა, თუმცა არც იუმინის მძლეველი მ. ჰოლოგდორჯია (მონღოლეთი) ახალბედა ჭიდაობაში. მეორედ დამარცხდა და ტურნირს გამოეთიშა ევროპის ჩემპიონი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჰ. ბიუტნერი (ქვემძიმე წონა). აი, რას ნიშნავს ოლიმპიური ტურნირის ფათერაკები. არადა, ვინ იცის რა იმედებით მიდიოდა იგი მონრეალში...

ლევან თედიაშვილმა მეორე ბრძოლაც წმინდად მოიგო, თუმცა მეტოქე ბეჭებზე არ დაუცია, შვედი ფ. ანდერსონი გაკვირვებული იყო: რამდენი წელია ვჭიდაობ და 14 ქულით არც ერთი ბრძოლა არ წამიგიაო. მან უკვე ამ ბრძოლის შემდეგ დაასახელა თედიაშვილი ჩემპიონად. მაგრამ ჩემპიონობამდე ჯერ კიდევ შორს იყო. წმინდად მოიგო შეხვედრა შტოტმაისტერმაც, ამჯერად უნგრელ გ. მოლნართან.

მძაფრი გამოდგა პეტერსონისა და ბულგარელი შ. ლუთვიევის შეხვედრა. ბედმა რამდენიმეჯერ შეაქცია ზურგი ამერიკელს ამ ორთაბრძოლაში, მაგრამ პეტერსონი ჯიუტი და გაუტეხელი კაცია. მან მაინც გამოასწორა მდგომარეობა და გაიმარჯვა საკმაოდ უცნაური შედეგით — 14:13. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ამერიკელს კენჭისყრისას სხვებზე მეტად უმტყუნა ბედმა, მაგრამ ერთხელ მან სწორად შენიშნა: „რა მნიშვნელობა აქვს ადრე შეხვდები ძირითად კონკურენტებს, თუ გვიან? მთავარია ისინი სათითაოდ დაამარცხო. სხვაგვარად ჩემპიონის მედალს ვერ ეღირსები“. აი, ასეთია პეტერსონის, როგორც მებრძოლის კრედო.

მესამე წრე. საბჭოთა მწვრთნელების მთელი ყურადღება აშურალიევისა და იუმინისკენაა მიპყრობილი, ვინაიდან ყოველი არასწორი ნაბიჯი, ყოველი უზუსტობა საბედისწერო შეიძლება აღმოჩნდეს. მაგრამ ხიფათი სულ სხვა მხრიდან მოვიდა. სერგეი ტიმოფეევმა (მსუბუქი წონა), ისე, რომ არავინ მოელოდა, 17 ქულა მისცა ჰ. შტრუმფს (გდრ), თვითონ კი მხოლოდ 13 აიღო. სამი წრის შემდეგ მესამედ დამარცხდა. მწვრთნელები სერიოზულად არიან შეშფოთებული. ნუთუ მიუნჰენის შედეგიც ხელიდან გვეცლება?

კიდევ კარგი, იუმინმა და აშურალიევმა ოდნავ გამოაკეთეს მდგომარეობა. პირველმა ქულებით მოუგო ჰ. ბრუპერტს (გდრ), მეორემ — ბულგარელ ი. პავლოვს აშკარა უპირატესობით აჯობა. ბრძოლას ისინი ჯერ კიდევ განაგრძობენ, თუმცა იუმინს უკვე 5 საჯარიმო ქულა აქვს, აშურალიევს კი — 3,5.

თედიაშვილი მონრეალში აშკარად არ სწყალობდა ფოტორეპორტიორებს. ვერ იქნა ვერ „დაიჭირეს ილეთზე“, გამოვა სარბიელზე, ერთ-ორ წუთს მოსინჯავს მეტოქეს და მერე, თვალს რომ ვერ შეავლებ, ისე სწრაფად ამთავრებს ბრძოლას. ამჯერადაც ასე მოხდა. ის იყო რეპორტიორებმა მოიმარჯვეს ობიექტივი, რომ ინგლისელი მ. ალანი ხალიჩაზე თევზივით აფართხალდა.

როგორც იქნა, პირველი წმინდა გამარჯვება იზეიმა პეტერსონმაც. იგი ყველაფერს ფუნდამენტურად და ლამაზად აკეთებს. ეს გამარჯვებაც იაპონელ ი. იაცუსთან ჭეშმარიტად ქრესტომატული იყო. შტოტმაისტერი ოთხ წუთში გაუსწორდა პოლონელ პ. კურჩევსკის.

მეოთხე წრე. იუმინი ისვენებს — ეს კარგია, სულს მაინც მოითქვამს მომდევნო შეხვედრის წინ. აშურალიევმა კიდევ ერთი მეტოქე ჩამოიცილა გზიდან, — რუმინელი მ. პირკალაბუ, მაგრამ ახლა მას 4,5 საჯარიმო ქულა დაუგროვდა, იუმინს — 5, აშურალიევს — 4,5. ტიმოფეევს... თუმცა ტიმოფეევი ამ წრეს ველარ გასცდა — საბჭოთა გუნდში ყველაზე ადრე ის გამოეთიშა ასპარეზობას. ამერიკელი ჯ. დევისის წინააღმდეგ ბრძოლაში ახალგაზრდა საბჭოთა მოჭიდავე აშკარად უსუსური იყო. 13:29 — აი, ასეთი შედეგით დაამთავრა მან თავისი ბოლო ოლიმპიური შეხვედრა.

თედიაშვილი — შტოტმაისტერი, მეოთხე წრისა და ალბათ მთელი ოლიმპიური ტურნირის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა. ამ ბრძოლას კარგა ხანია ველით. მაგრამ, რა ხდება? ან შტოტმაისტერი ის არ არის, ვინცა გვგონია, ან ლევანმა მისი გვარის ამოშლა განიზრახა მოჭიდავეთა სიიდან. დიდიხნის ნანატრი ბრძოლა და ასეთი უთანაბრო ძალები! გამბედაობა შტოტმაისტერს არ აკლია, არც ჟინი და აზარტი. არადა, თითქოს ვარჯიშობსო, დაავლებს ხელს ლევანი მეტოქეს და ან ხელზე გადაჰყავს, ან ჩოქბჯენში. ასე ხუმრობა-ხუმრობაში დააგროვა 17 ქულა და შეხვედრაც დამთავრდა. თვალებს არ ვუჯერებთ. ნუთუ გერმანელმა 8 ქულაზე მეტი ვერ წაართვა მეტოქეს?

შტოტმაისტერის მარცხმა ენერგია შემატა პეტერსონს. კუბელ ზ. მორგანს მან ერთ წუთში მოუღო ბოლო.

ნ. გუგუშვილი.

(დასასრული იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ №№ 181, 183.

* * *



სურათებზე: ლევან თედიაშვილისა და ბენიამინ პეტერსონის ფინალური ორთაბრძოლის მომენტები.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

I ჯგუფი

„ცისარტყელა“ (წულუკიძე) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 4:0. მსაჯი გ. სეფიაშვილი (თბილისი).

პირველი ორმხრივი იერიშებისას სტუდენტებს ანგარიშის გახსნის რამდენიმე შესაძლებლობა მიეცათ, 43-ე წუთზე კი ბურთი მათს კარში აღმოჩნდა ანდრიაძის დარტყმის შემდეგ. შესვენების მერე უპირატესობა მთლიანად წულუკიძელთა მხარეს გადავიდა, რაც ანდრიაძის, უგულავასი და ულუმბელაშვილის 3 გოლით დამთავრდა.

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 7:1. მსაჯი თ. ფანიაშვილი (თბილისი).

დარახველიძის, ლორთქიფანიძისა და სევასტოპულოს ზუსტი დარტყმების შემდეგ მასპინძლები ჯერ კიდევ პირველ ტაიმში დაწინაურდნენ. შემდგომში მეგრელაძემ (2), გილაურმა და ხუსკივაძემ კიდევ ოთხჯერ აიძულეს მეტოქე ცენტრიდან დაეწყოთ თამაში. ერთადერთი საპასუხო გოლის ავტორია ზანინი.

„ნადიკვარი“ (თელავი) — „დინამო“ (სოხუმი) 5:1. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).

თელაველ ფეხბურთელებს აშკარა უპირატესობა ჰქონდათ ამ მატჩში. აბდულაევმა და ბაღათრიშვილმა 2-2 ბურთი გაიტანეს, ცირეკიძემ — 1, ხოლო ერთადერთი საპასუხო — სოხუმელმა კაკულიამ.

„ქართლი“ (გორის რაიონი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 2:1. მსაჯი თ. ერგემლიძე (ტყიბული).

გორელი მარტინენკოს 2 გოლს მახარაძელებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს (ისიანი).

„კოლმეურნე“ (წალენჯიხა) — ასკ (თბილისი) 0:0. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

„კოლხეთი“ (ხობი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 2:2. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).

ხობელთაგან ბურთები გაიტანეს ქავთარაძემ და თევზაძემ, ხოლო „დურუჯის“ მხრივ — ნერსეზაშვილმა და გაგნიძემ.

„კოლხეთი“ (ფოთი) — უნივერსიტეტი (თბილისი) 6:0. მსაჯი დ. გაგნიძე (თბილისი).

სტუდენტებმა განსაკუთრებით ინერტულად ჩაატარეს მატჩის მეორე ნახევარი და დიდი ანგარიშით იწვნიეს მარცხი. ტყებუჩავას (3), მელაჭეიშვილის (2) და როხვაძის (1) 6 გოლს მათ ვერაფრით უპასუხეს.

„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 2:2. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

ზესტაფონელი გლინიანოვის გოლი მეორე ტაიმის დასაწყისში გაქვითა ლოგუამ. რამდენიმე წუთის შემდეგ კი გუნიამ წინ გაიყვანა „ამირანი“. თანაფარდობა 75-ე წუთზე აღადგინა მაცაბერიძემ.

„მადნეული“ (ბოლნისი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 3:0. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).

მასპინძლებმა თავიდანვე ხელთ აიღეს ინიციატივა. ანგარიში გახსნა ფოფხაძემ, შემდეგ კი უგულავამ კიდევ ორჯერ აიღო „შუქურას“ კარი.

გათამაშების ცხრილი

ფინალური ტურნირი

მდგომარეობა 14 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ფიზკ. ინსტ.	21	15	2	4	56—24	32
„ნადიკვარი“	21	12	5	4	32—8	29
„მეშახტე“	19	11	3	5	25—15	25
„სალხინო“	20	7	9	4	35—23	23
„ივერია“	20	9	5	6	28—26	23
„დინამო“	21	9	4	8	39—33	22
„მერცხალი“	20	8	6	6	22—21	22
„განთიადი“	20	7	7	6	19—19	21
ასკ თბ.	21	5	9	7	19—22	19
„კოლხეთი“ ხ.	21	7	5	9	25—27	19
„ქართლი“	21	7	5	9	19—30	19
„კოლხეთი“ ფ.	21	6	5	10	26—28	17
„ცისარტყ.“	20	6	5	9	17—26	17
„ეგრისი“	21	5	7	9	21—30	17
„დურუჯი“	21	3	10	8	20—27	16
„კოლმეურ.“	20	6	4	10	16—31	16
პოლ. ინსტ.	19	6	3	10	20—38	15
უნივერსიტ.	19	4	6	9	15—26	14

II ჯგუფი

I ზონა

„მეშაქრე“ (აგარა) — „არაგვი“ (მცხეთა) 4:2, „პოლიტექნიკოსი“ (საგარეჯო) — „არაგვი“ (დუშეთი) 8:1, „ფოლადი“ (რუსთავი) — „ჩამომსხმელი“ (ბორჯომი) 2:0, „ქიმიკოსი“ (ახმეტა) — „სამცხე“ (აწყური) 4:0, „ცისკარი“ (სიღნაღი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 1:1, „ყინცვისი“ (ქარელი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 1:0.

II ზონა

„ბახმარო“ (ჩოხატაური) — „მექალალდე“ (ზუგდიდი) 3:1, „ჩიხურა“ (საჩხერე) — „სულორი“ (ვანი) 3:1, „შახტიორი“ (ტყვარჩელი) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 1:0, „ტორპედო“ (გაგრა) — ხდკ (სამტრედია) 2:1, „ავტომობილისტი“ (ბათუმი) — „მზიური“ (გალი) 0:2, „ნაკადული“ (ჩხოროწყუ) — „მშენებელი“ (ჭიათურა) 5:1.

განვლილ მატჩებში მინდვრიდან გააძევეს ოჩამჩირელი ფეხბურთელები გ. ქანთარია და ბ. ციკოლია.

გაფრთხილებული არიან: გ. ყვავაძე („ფოლადი“, რუსთავი), თ. სულაბერიძე („სულორი“, ვანი), ა. კირკიტაძე („ჩიხურა“, საჩხერე), გ. ტროშინი („ამირანი“, ოჩამჩირე).

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.

„მსურდა მხოლოდ თავის დაღწევა...“

— ამბობს სერგეი ნემცანოვი

„კომსომოლსკაია პრავდის“ კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა 17 წლის წყალში მხტომელს სერგეი ნემცანოვს, რომელმაც, უცხოეთის პრესის ცნობით, მონრეალის ოლიმპიური თამაშების დროს ვითომდა კანადაში დარჩენის სურვილი გამოთქვა.

კორესპონდენტი სერგეის ესაუბრა მის მშობლიურ ქალაქ ალმაათაში, სადაც ახალგაზრდა სპორტსმენი უკვე შეუდგა წვრთნას ოკეანის გაღმიდან დაბრუნების შემდეგ.

იმის შესახებ, რაც სინამდვილეში მოხდა, მკითხველებს უამბობს თავად ნემცანოვი.

— **როგორი იყო თქვენი შედეგები ოლიმპიურ თამაშებში?**

— უარესი აღარ შეიძლება. მეცხრე ადგილზე გავედი. ყველაფერი წყალში გადავყარე: წლების მანძილზე წვრთნა, დრო, ძალები. ჩემს თვალში ცხოვრებამ ფასი დაკარგა. სპორტული კარიერა სამუდამოდ დამთავრებული მეგონა. როცა გავიგე, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მატჩზე არ წამიყვანდნენ, საბოლოოდ ჩავიქნიე ხელი. მდგომარეობა გამოუვალი მეჩვენებოდა. ამ ჩემს უსიხარულო ფიქრებს ვუზიარებდი თანაგუნდელებსაც და ახალ მეგობრებსაც — უცხოელ სპორტსმენებსაც. მეგობრები ცდილობდნენ ნუგეში ეცათ.

— **უცხოელები?**

— ისინიც მამშვიდებდნენ. თავდაპირველად ძალზე ალერსიანად მექცეოდნენ. განსაკუთრებით ამერიკელი სინტია მაკინდველი და კანადელი მხტომელი სკიპ ფენიკსი. ფენიკსი კლუბში მხვდებოდა ხოლმე, ერთად დავდიოდით სასადილოში. 29 ივლისს, სასადილოდან რომ გამოვედით, შემომთავაზა, ერთად წავიდეთ ფინურ აბანოშიო. წავედით. სხვა დროს იქ კარი მუდამ ღია იყო, ახლა კი რატომღაც დაკეტილი დაგვხვდა. სკიპმა მითხრა, სხვა შესასვლელიც ვიციო და იმავე შენობაში რომელიღაც დერეფანში გამიყვანა. ცოტა ხნის შემდეგ ღია კარს მივადექით. იქვე ვიღაც კაცი იდგა და რაცია ეჭირა. სკიპმა მიბიძგა და ოთახში შემაგდო. გამოირკვა, რომ საემიგრაციო ცენტრში ვიყავით. არაფერი მესმოდა. ამ დროს ორი კაცი შემოვიდა, ხელში პორტფელები ეკავათ. დამიწყეს გამოკითხვა ინგლისურად, რა გეგმები მქონდა, რა განწყობილება. მე ძლივს ვარჩევდი მათს შეკითხვებს და ვფიქრობ, არც მათ ესმოდათ სწორად ჩემი პასუხები.

მერე წინ სტამბური წესით დაბეჭდილი ანკეტა დამიდეს. ამ ანკეტიდან ზოგიერთი შეკითხვა გავიგე—რამდენი ხანია ვვარჯიშობ, რომელი წლიდან მიხდება საზღვარგარეთ მოგზაურობა. სხვა შეკითხვები ჩემთვის გაუგებარი იყო. მოგვიანებით თარჯიმანი ქალიშვილი შემოვიდა და ანკეტა წამიკითხა. მთელ ამ პროცედურას ორი საათი დასჭირდა. ამ ხნის განმავლობაში სკიპი ხან გადიოდა ოთახიდან, ხან ისევ გამოჩნდებოდა. ავწრიალდი. ვერ გამეგო, რა ხდებოდა. რა საემიგრაციო ცენტრი უნდა ყოფილიყო შუა ოლიმპიურ სოფელში? მანამდე მსგავსი არაფერი გამეგონა.

— **მოგთხოვეს თუ არა რაიმე განცხადება?**

— არა. რამდენადაც მივხვდი, ანკეტაში შეტანილი ჰქონდათ შეკითხვა, თანახმა ვიყავი თუ არა კანადაში დარჩენაზე. თითქოს ყველაფერი ბურანში ხდებოდა. მე ძალზე გაღიზიანებული ვიყავი — რამდენიმე ღამე ისე გავიდა, წესიერად არ მძინებია. ახლა კიდევ აბანოს მაგიერ სადღაც ამოვყავი თავი — არ ვიცი პოლიციაში, არ ვიცი კანადის რომელიღაც კანცელარიაში. ერთადერთი რამ მსურდა: რაც შეიძლება ჩქარა დამეღწია თავი.

ისევ შემოვიდა სკიპი. წამიყვანეს და რაღაც სხვა გზით მატარეს. აღმოვჩნდით გარაჟში, სადაც პროდუქტებით სავსე ყუთები ეწყო და იდგა მსუბუქი მანქანა რაციით. მე უკანა სკამზე დამსვეს. ის ორნი, პორტფელიანები, ერთი ნაბიჯით არ გვშორდებოდნენ მე და სკიპს. მიბრძანეს, დაწექიო და პიჯაკი გადამაფარეს. ასე გავედით ოლიმპიური სოფლიდან. დიდხანს ვტრიალებდით ქალაქში. როცა გადმოსვლის ნება დამრთეს, სკიპის მანქანა დავინახე. შიგ ფენიკსის ცოლი მერი იჯდა. ის ორნი მონრეალში დარჩნენ. მე სკიპის მანქანაში გადამსვეს და სადღაც ქალაქგარეთ გავემგზავრეთ. დიდხანს მივდიოდით. ასე ორ საათს. მეორე დღეს სკიპმა მითხრა, რომ ტორონტოში წამიყვანდნენ, მე მასთან ვიცხოვრებდი, განვაგრძობდი წვრთნას და სკოლაში ვივლიდი. მითხრა, შენს სახელზე ბანკში ფულს შევიტან და მანქანას გიყიდითო.

31 ივლისს სკიპმა და მერიმ მონრეალში წამიყვანეს, მაგრამ ქალაქამდე არ მივსულვართ. ტყეში გადაუხვიეთ. იქ ორი მანქანა გვიცდიდა. ჩვენ ერთ-ერთ ამ მანქანაში გადავინაცვლეთ, სადაც კაცი გველოდა, ასე 28-30 წლისა. იგი გამეცნო, როგორც თარჯიმანი ჯორჯი. რუსულად უაქცენტოდ ლაპარაკობდა.

როგორც შემდეგ გამოირკვა, იმ შენობაში, სადაც მე მიმიყვანეს, კანადის კონტრდაზვერვა ყოფილა. მთელი დღე იქ დამტოვეს. მაჭმევდნენ, გამაცნეს ადვოკატი დავიდ მატესონი და მერე ისევ აგარაკზე წამიყვანეს.

მეორე დღეს ყველაფერი თავიდან გამეორდა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ გზაში ჯორჯი ჩამციებოდა: რადიოთი გამოდი და თქვი, რომ „თავისუფალ“ კანადაში შენი ნებით დარჩიო, მე უარი ვუთხარი.

მინდა გითხრათ, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში რაღაც საოცარი ამბავი მჭირდა. მთელი სხეული უცნაურად მექავებოდა, თავი მტკიოდა, ხელ-ფეხი თითქოს ჩემი აღარ იყო.

იმავე შენობაში, სადაც წინადღით მიმიყვანეს, ახლაც მომიტანეს საჭმელი და დიდხანს ველოდით საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებთან შეხვედრას.

თვითონ შეხვედრა ძალზე ბუნდოვნად მახსოვს. ლაპარაკი სადღაც შორიდან მესმოდა და ვერც კი ვხვდებოდი, რას მეუბნებოდნენ. მხოლოდ ის მახსოვს, რომ ბებიაჩემისგან წერილი მომიტანეს, მაგრამ ისიც ჯორჯმა წაიღო.

მეორე დღეს ძალიან ცუდად ვიყავი. ხელები არ მემორჩილებოდა, რაღაც უცნაურმა, უაზრო გულგრილობამ შემიპყრო.

— **ოლიმპიურ სოფელში დაბრუნება არ გიცდიათ?**

— მეორე დღეს, ესე იგი 2 აგვისტოს, როცა ამ ჩემი უცნაური და მოულოდნელი ავადმყოფობისგან „განვიკურნე“, სკიპს ვთხოვე ოლიმპიურ სოფელში წავეყვანე. უკვე მივხვდი, რა კაციც იყო და მიზეზი მოვიგონე: ჩემს მეგობარ დავითს ბებიას წერილი უნდა გამოვართვა-მეთქი. სკიპი დიდხანს უარზე იდგა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს დამთანხმდა.

სოფელში მაინც არ წამიყვანა. ჩვენ მონრეალში შევხვდით ერთმანეთს. სკიპის მანქანაში ვისხედით და ვსაუბრობდით. ოლიმპიურ სოფელში საშვების გარეშე ვერ შევიდოდი. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ მე მანქანით მივადგებოდი სოფელს მეორე დღეს, როცა ბიჭები აეროპორტში წასასვლელად მზად იქნებოდნენ, და გზაში შევუერთდებოდი მათ.

მეორე დღეს სკიპმა უარი მითხრა წაყვანაზე. მე გამოვიქეცი აგარაკიდან. იმედი მქონდა, რომ ოლიმპიურ სოფლამდე რაიმე შემხვედრ მანქანას გავყვებოდი. სკიპი და მერი გზაში დამეწივნენ, მანქანაში ჩამსვეს და ქალაქში წამიყვანეს. წამიყვანეს, მაგრამ მონრეალს გვერდი აუარეს. მე მინდოდა მანქანიდან გადავხტარიყავი, მაგრამ მერი და სკიპი ზედ დამაწვნენ, ყველა კარი გასაღებით დაკეტეს და ასე ვიდექით გზატკეცილზე, სანამ აეროპორტში წასვლამ აზრი არ დაკარგა.

— **საბჭოთა ექიმები, რომელთაც თქვენ იმ „უცნაური და მოულოდნელი ავადმყოფობის“ შესახებ უამბეთ, ფიქრობენ, რომ საჭმელში რაღაც შემოგაპარეს. თქვენ რა აზრისა ხართ?**

— არ ვიცი. ეგ მეც მითხრეს, მაგრამ მანამდე მსგავსიც არაფერი გამეგონა. მხოლოდ ის ვიცი, რომ ახლაც კი ვერა და ვერ ვიხსენებ იმ დღეების ყველა დეტალს. თითქოს ბურანში ვიყავი. მთელი სხეული მტკიოდა.

— **მერე ისევ აგარაკზე წაგიყვანეს და იქ დაგტოვეს?**

— მეორე დღეს სასტუმრო „ჰოლიდეიინში“ წამიყვანეს. იქ სკიპის, მერის, ჯორჯისა და ორი ადვოკატის თანდასწრებით განვაცხადე, რომ სამშობლოში დაბრუნება მსურდა. დამპირდნენ, საელჩოში წაგიყვანთო, მაგრამ ისევ მომატყუეს და მონრეალიდან გამიყვანეს. რამდენიმე დღე მასკოკის ტბაზე, კუნძულზე დამტოვეს, ვინმე ფლემინგის სახლში. ნაპირიდან 30-40 წუთის სავალი იქნებოდა მოტორიანი ნავით. ფლემინგს ვთხოვე, მონრეალში წამიყვანე-მეთქი, მაგრამ უარი მითხრა — ეგ რომ უნებართვოდ გავაკეთო, სამუშაოსაც დავკარგავ და ლუკმაპურსაცო. 16 აგვისტოს დავემუქრე, ნაპირამდე ცურვით მივალ-მეთქი. მაშინ კი ვიღაცას მოეთათბირა ტელეფონით და ქალაქში წამიყვანა. 17 აგვისტოს რომელიღაც კაფეში საელჩოს თანამშრომლებს გადამცეს.

ყველაფერმა, რაც თავს გადამხდა, მიჩვენა „თავისუფალი სამყაროს“ ის მხარე, რომელსაც ასე გულმოდგინედ ჩქმალავენ და რომელიც ჩვენთვის, საბჭოთა სპორტსმენებისთვის, აქამდე უცნობი იყო. ჩემს სიცოცხლეში პირველად შევეჯახე პირისპირ ადამიანებს, რომლებიც ფულის გულისთვის ყველაფერს იკადრებენ.

ჩვენს ქვეყანაში დაბადებული და გაზრდილი ადამიანისთვის ეს ყოველივე დაუჯერებელი და შემზარავია. სამყაროში, სადაც ასეთი რამ შეიძლება მოხდეს, მე ვერ ვიცხოვრებდი.

„კომსომოლსკაია პრავდა“, № 215.

სპორტი განაში

განა. (საკდესი). როცა განის დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე რეკონსტრუქცია დამთავრდება, იქ სპორტსმენთა განკარგულებაში იქნება ტარტანის საფარი რვა სარბენი ბილიკით და ელექტროტაბლო.

ცენტრალური სტადიონის რეკონსტრუქცია ერთ წელიწადში დასრულდება და განის საუკეთესო მორბენლებს თანამედროვე საფარზე ვარჯიშის შესაძლებლობა მიეცემათ. სტადიონის მოდერნიზებისთვის უკვე დაიხარჯა 1 მილიონი გირვანქა სტერლინგი. სტადიონის ტევადობა ორჯერ გაიზრდება, იგი 60000-მდე მაყურებელს გაუღებს კარს.

1978 წელს განაში ჩატარდება ფეხბურთში აფრიკის თასის გათამაშების ფინალური მატჩები. ამ ტურნირისთვის მზადების პერიოდში დაგეგმილია კუსამის (150 კმ დედაქალაქის ჩრდილოეთით) სტადიონის რეკონსტრუქცია. ახლა იქ 35000 ადგილია, მაგრამ ახალი სტადიონი ორჯერ მეტ მაყურებელს დაიტევს.

ვირენის „ოქროს წამები“

ჰელსინკი, მიუნხენის ოლიმპიადის შემდეგ 5 და 10 კილომეტრზე რბენაში გამარჯვებულმა ლასა ვირენმა გამოაქვეყნა ავტობიოგრაფიული წიგნი, რომელსაც „ოქროს წამები“ დაარქვა. თავდაპირველად სპორტის მოყვარულები წიგნს ხალისით ყიდულობდნენ, მაგრამ შემდეგ ვირენმა რამდენიმე საპასუხისმგებლო შეჯიბრება წააგო, მძიმედ დაშავდა და სპორტს ჩამოშორდა წიგნი... დახლზე დარჩა, ახლა, როცა ვირენმა მორიგი ტრიუმფი იზეიმა მონრეალში ორივე სტაიერულ დისტანციაზე, მოამზადეს მისი წიგნის მეორე გამოცემა და იგი რამდენიმე დღეში დაიტაცეს. (საკდესი).

მორიგი ტირაჟი

მოსკოვი, 15 სექტემბერი. დღეს აქ გაიმართა „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი, 37-ე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები:

„სპორტლოტო“: 22, 24, 33, 36, 39, 43.

„სპორტლოტო-2“: 1, 2, 11, 21, 26, 35.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჟაფარიძე.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. 18 სექტემბერი. „განთიადი“ (თბილისი) — „მერცხალი“ (მახარაძე). დასაწყისი 17 საათზე.

ჩოგბურთი. სსრ კავშირის თასის გათამაშება (გუნდური). „დინამოს“ საჩოგბურთო სტადიონი (სტალინის სახელობის სანაპირო № 2). 16-19 სექტემბერი. დასაწყისი 9 ს.